



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030436484989417

№ 04-867/ო

04 / დეკემბერი / 2017 წ.

ადმინისტრაციული საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების
უფლების დელეგირების შესახებ

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) ადმინისტრაციული წარმოების მოცულობის, ფუნქციური დატვირთვისა და ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მთელი რიგი, სავალდებულო პროცედურების, მათ შორის, წარმოების ვადებთან დაკავშირებული პირობების, აგრეთვე, სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 19 თებერვლის №04-74/ო ბრძანებით განსაზღვრული საკურატორო სფეროების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 178-ე მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ვ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სააგენტოში მიღებულ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, სააგენტოს დირექტორის მოადგილეებმა, სააგენტოს სახელით, დამოუკიდებლად, წარმართონ „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორისა და დირექტორის მოადგილეების საკურატორო სფეროების განსაზღვრის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 19 თებერვლის №04-74/ო ბრძანებით განსაზღვრული საკურატორო სფეროების მიხედვით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავის შესაბამისად.

2. სააგენტოს დირექტორის მოადგილეებს ენიჭებათ უფლებამოსილება, საკურატორო სფეროების მიხედვით, ხელი მოაწერონ ადმინისტრაციულ საჩივრებზე განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებს და საჩივრების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

3. წინამდებარე და სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 19 თებერვლის №04-74/ო ბრძანებებით დელეგირებული უფლებამოსილებების საფუძველზე, სააგენტოს დირექტორის მოადგილეების მიერ, სააგენტოს სახელით, მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი ქმედებები და/ან უმოქმედობა შესაძლებელია, გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების პროექტს, თუ ის ეხება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ქმედებას და/ან უმოქმედობას, ვიზას აძლევს შესაბამისი ფუნქციონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან სათანადოდ უფლებამოსილი პირი.

5. ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების პროექტს, თუ ის ეხება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ქმედებას და/ან უმოქმედობას, ვიზას აძლევს სხვა, იმ ფუნქციონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რომლის ადმინისტრირების სფეროსაც ეხება ან/და შეიძლება შეეხოს ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება.

6. ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზაციულ პროცესს, კანონშესაბამისად წარმართვის მიზნით, კოორდინაციას უწევს სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე გამოცემული ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც სხვაგვარად არეგულირებს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.

8. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე):


ა.ა) ამ ბრძანების სარეალიზაციოდ საჭირო ღონისძიებების გატარება, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემაში გადაწყვეტილების პროექტის ხელმძღვანელად კურატორი მოადგილის შერჩევის უფლების იურიდიული დეპარტამენტისათვის მინიჭების მიზნით;

ა.ბ) სააგენტოში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), წინამდებარე ბრძანების და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი



ზაზა სოფრომაძე